მის: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, გ. დოლიძის ქ., N22; ტელ: +995 550 00 00 44;
Lg.trans1@yahoo.com

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს
უფროსს ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

22.11.2022 წ.

N2211-01

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ შპს „ლგ ტრანს"-ის (ს/კ 405286159) მიერ, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნავაზის ტერიტორიაზე მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის მიმდებარედ დაგეგმილია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების და სანიაღვრე წყლების შემკრები რეზერვუარის მოწყობა და ექსპლუატაცია.

პროექტის განმახორციელებელს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 72.03.08.586), საერთო ფართობით 72827 მ² დაგეგმილი აქვს 500 მსუბუქი და სატვირთო ავტომობილისთვის ავტოსადგომის მოწყობა.

აღნიშნული ნაკვეთით სარგებლობაზე, შპს „ლგ ტრანს"-ს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო"-სთან.

პროექტის მიზანია ავტოსადგომის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების მართვისთვის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, სადაც მოხდება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების გაწმენდა, ხოლო შემდგომ გაწმენდილი წყალი ჩაეშვება შპს „საქართველოს მელიორაცია"-ს საკუთრებაში არსებულ სარწყავ არხში (ს/კ:72.00.610).

ავტოსადგომის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვისთვის ასევე გათვალისწინებულია ნავთობდამჭერის და 14500 მ³ მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარის მოწყობა, სადაც დაგეგმილია წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების გაწმენდა ნავთობპროდუქტებისგან და შეწონილი ნაწილაკებისგან (არსებობის შემთხვევაში), რომელიც შემდგომ ჩაეშვება ასევე ზემოაღნიშნულ სარწყავ არხში, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

პროექტი განეკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის 9.9 და 10.6 ქვეპუნქტის შესაბამისად გათვალისწინებულ საქმიანობას, შესაბამისად ექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება/ანგარიში და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

შპს „ლგ ტრანს"-ის დირექტორი

შორენა ნინიაშვილი

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
24. 11. 2022 წ.
№ 6746